**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ**
**გაწეული მუშაობის შესახებ**
**ანგარიში**

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ლავრენტი ბიგვავა

საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება
(ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც
არის საკრებულოს წევრი: საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, აგრარულ საკითხთა,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია.

საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს
წევრი: "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო".

საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით, - მაჟორიტარული წესით არჩული წევრის შემთხვევაში) "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", პროპორციული სიით.
საანგარიშო პერიოდი: 01.10.2022წ. – 01.10.2023 წ.
ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე): მორიგი

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა**

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 13
საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრება 13

2. სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი 39
საკრებულოს წევრის მიერ კომისი(ებ)ის სხდომებზე დასწრება 25

3. სულ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა (ასეთის
არსებობის შემთხვევაში) 3
საკრებულოს წევრის მიერ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე დასწრება
(ასეთის არსებობის შემთხვევაში) 3

4. სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა **19**

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე დასწრება **19**

5. საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები: 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის პროექტი (4-ჯერ საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად); 2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023-2030 წლების სამოქმედო გეგმა(2-მუხლი); 3. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი (1 ქვეპუნქტი); 4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ (2-მუხლი). მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის ერთი პუნქტი. ოზურგეთის მერიის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ მიღებული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის ცვლილების პროექტი. N4 და N5 მუხლები.

საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა საკრებულოს **4** დადგენილება, საკრებულოს **3** განკარგულება

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები: მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი; ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში. მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვების ანგარიში; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის პროექტი.
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა; სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტები; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ მშენებლობის შეჩერების მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი შესრულების განხორციელების წესი; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის და აპარატის საშტატო ნუსხა; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები და ა. შ.

7. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა: -

8. საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა **40**

საკრებულოს წევრის შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა **92**

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: სასმელი წყლით მომარაგების უზრუნველყოფა, გზების სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა, საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, სამკურნალოდ და მედიკამენტების შესაძენად თანადაფინანსების საქმეში შუამდგომლობის გაწევა მერთან, მიწისა და შენობა-ნაგებობების იჯარით მიღების საქმეში დახმარების გაწევა, უსახელო ქუჩების სახელდება და დამისამართება.

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები): შესაბამისი კომისიების მიერ საკითხის შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება; საკითხის დაყენება მერისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების წინაშე, შუამდგომლობა, წინადადებები და რეკომენდაციები.

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა: მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა, საკრებულოს საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით ორგანიზებულ სემინარებში, ტრენინგებში, კონფერენციებში მონაწილეობა; გურიის სამხარეო ადმინისტრაციის საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობის მიღება, სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ორგანიზებულ თათბირებსა და სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა.

12. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობებით მიღებულ შედეგები: სრულყოფილი რეგლამენტი, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების სამუშაო გეგმების სრული შესაბამისობა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნებთან, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, განახლებული ინფრასტრუქტურა, განათლების სისტემის სრულყოფა, ბიუჯეტის პროგრამულ ფორმატში მომზადების პროცესების მართვის გაუმჯობესება, საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერება.

13. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ: საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების საქმიანობის დახვეწა, საკრებულოს სამოქმედო გეგმის (2023-2030წწ) შესრულებაზე მონიტორინგი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების პროცესების რაციონალური მართვა, საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების კონტროლი.

ანგარიშის მომზადების თარიღი: 20 ოქტომბერი 2023 წელი.

ანგარიშის წარდგენის თარიღი: 23 ოქტომბერი 2023 წელი.